

ქ.თბილისი

2021 წლის 15 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 15 აპრილს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილება უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, ამა წლის 11 აპრილს გამართული I ლიგის მატჩზე წყალტუბოს „დინოზავრი“-სა და თბ „ივერია“-ს შორის მომხდარი ფაქტის შესახებ, წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტაცია :

1. მატჩის მთავარი მსაჯის გიგა მშვენერაძის მოხსენებითი ბარათი.
2. მატჩის კიდის მსაჯის დავით ბალუაშვილის მოხსენებითი ბარათი.
3. მატჩის კიდის მსაჯის ლაშა ზივზივადის მოხსენებითი ბარათი.
4. მატჩის მეთვალყურის ალექსანდრე ნიქაბაძის საითინგი.
5. მატჩის ვიდეოპერატორის თემურ გორგიძის მოხსენებითი ბარათი.

სადისციპლინო კომისიის სხდომას დისტანციურად ჩაერთვნენ და მომხდარი ფაქტის შესახებ საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს თბ „ივერია“-ს წარმომადგენლებმა, კერძოდ :

1. გიორგი აფრასიძე - კლუბის აღმ. დირექტორი და მოთამაშე.
2. ვასილ სანაძე - გუნდის მთავარი მწვრთნელი და მოთამაშე.
3. ცოტნე ჭანია - კლუბის მენეჯერი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნულ მატჩზე მომხდარი ფაქტის შესახებ სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების მიხედვით

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

ზემოაღნიშნული მატჩის მიმდინარეობისას, კერძოდ თამაშის 70-ე წუთზე კიდის მსაჯმა ლაშა ზივზივადემ დააფიქსირა თამაშის წესების დარღვევა თბ „ივერია“-ს მოთამაშეების მხრიდან და შეატყობინა მთავარ მსაჯს გიგა მშვენერაძეს, რასაც მოჰყვა თბ „ივერია“-ს დაჯარიმება. ამ ფაქტმა გამოიწვია თბ „ივერის“-ს წარმომადგენლის გიორგი აფრასიძის უკმაყოფილება და აპელირება კიდის მსაჯის გადაწყვეტილებაზე.

თამაშის დასრულების შემდეგ გიორგი აფრასიძემ სათამაშო მოედნიდან გასვლისას კვლავ განაგრძო კიდის მსაჯთან უხეში საუბარი და ამჯერად სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ლაშა ზივზივადეს, სიტყვიერი შეურაცხყოფის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ მატჩის კიდის მსაჯმა ლაშა ზივზივადემ ანალოგიური სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი აფრასიძეს, რასაც მოჰყვა თბ „ივერია“-ს მოთამაშეების, ილია ბალანჩივადის (მატჩის ოქმში # 27), გივი რეხვიაშვილის (მატჩის ოქმში # 19), გიორგი წიკლაურის (მატჩის ოქმში #3) და გიორგი აფრასიძის მიერ მისი ფიზიკური შეურაცხყოფა.

სხდომაზე წარმოდგენილი მატჩის ოფიციალური პირების მოხსენებითი ბარათებიდან და მათი წინასწარი გამოკითხვისას მოწოდებული ინფორმაციიდან ასევე ირკვევა, რომ კიდის მსაჯის ლაშა ზივზივადის ფიზიკურ შეურაცხობას ჰქონდა ჯგუფური ხასიათი და მან მიიღო დაზიანებები სახის არეში.

მატჩის ვიდეოპერატორის განმარტებით მან ვერ მოახერხა ინციდენტის ვიდეო გადაღება, რადგან ინციდენტს ადგილი ჰქონდა თამაშის დასრულებიდან 3-4 წუთის შემდეგ და იმ დროისათვის მას შეწყვეტილი ჰქონდა ვიდეო გადაღება.

მატჩის დასრულებისას ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ ინციდენტს, კერძოდ თბ „ივერია“-ს მორაგბე ვასილ სანაძე (მატჩის ოქმში # 9) სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ეძებდა ანგარიშსწორების მიზნით სრკ-ს მსაჯს ლევან

ბიბიჩაძეს, რომელიც იმყოფებოდა სტადიონის ტრიბუნაზე მატჩის პირველი ნახევარის დროს, მაგრამ აღნიშნული ინციდენტის დროს დატოვებული ჰქონდა სტადიონის ტერიტორია.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.5, 2.2.2, 2.2.3 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ივერია“-ს მორაგბე ილია ბალანჩივაძე დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 10 000(ათი ათასი) ლარით.
2. თბ „ივერია“-ს მორაგბე გივი რეხვიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 10 000(ათი ათასი) ლარით.
3. თბ „ივერია“-ს მორაგბე გიორგი წიკლაური დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 10 000(ათი ათასი) ლარით.
4. თბ „ივერია“-ს წარმომადგენელი გიორგი აფრასიძე დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 10 000(ათი ათასი) ლარით.
5. თბ „ივერია“-ს მორაგბე ვასილ სანაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
6. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა მატჩის კიდის მსაჯის ლაშა ზივზივამის მიერ თბ „ივერია“-ს წარმომადგენლის გიორგი აფრასიძის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე და ვინაიდან მატჩის ოფიციალური პირის მიერ აღნიშნული ქმედება არ არის გათვალისწინებული სრკ-ს მოქმედი სადისციპლინო კოდექსით, სადისციპლინო კომისია მიმართავს სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისათვის.
7. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 15 მაისამდე.
8. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ივერია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/